პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. ც., ა.-კავ. და ტფილისთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 (მე 2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 177 პარასკევი, 4 აგვისტო 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 4 აგვისტო 1922 წ. № 177

ქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

დავალებას აძლევს ყველა კომიაჩეიკებს პარასკევს, 4 აგვისტოს, მორიგ

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან დღის წესრიგში შემდეგი საკითხები:

1) ერთიანი ფულის ნიშანი ამიერ-კავკასიაში.
2) სასურსათო გადასახადის აკრეფა საქართველოში.

თბ. კომიტ. მდივანი: **კახიანი.**

ესერების პროცესი თავდება

ორი თვე გრძელდება ესერების პროცესი მოსკოვში. ამ ჟამად ის უკვე უახლოვდება დასასრულს, და მალე განაჩენიც იქნება გამოტანილი საბჭოთა უმაღლეს სასამართლოს მიერ.

ამოდენა ხანი გასტანა პროცესმა, რადგან აქ ირჩევა არა უბრალო და ჩვეულებრივი საქმე.

ოთხი წლის განმავლობაში ეწეოდნენ ესერები თავიანთ „მოღვაწეობას". საჭირო იყო მათი „მუშაობის" შესახებ უამრავი მასალიდან ამორჩევა და სისტემაში მოყვანა უმთავრესი ფაქტების და მომენტების მაინც.

ესერების მოქმედება მჭიდროდ გადაბმულია რუსეთის მუშების და გლეხების ოთხი წლის გმირულ ბრძოლასთან თავიანთი ძალა უფლების დასამყარებლად და დასაცავად, და სასამართლოს პროცესზე ცოცხლად და თვალსაჩინოდ გადაიშალა ამ რევოლუციონური ბრძოლის ისტორია.

სავსებით გამოირკვა „სოციალისტ-რევოლუციონერების" სამარცხვინო როლი ამ ბრძოლაში.

სახელოვანი „ნაროდოვოლცების" ღირსი მემკვიდრენი ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე აღმოჩნდნენ ბარიკადების იქითა მხარეზე. მათ ვერ მოითმინეს მშრომელი მასსის ნამდვილი გაბატონება და ყველა შავ კონტრ-რევოლუციონურ ძალებთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ოთხი წლის განმავლობაში აქცევდნენ მუშების და გლეხების უმანკო სისხლს არსებითად მემამულეების და კაპიტალისტების რეჟიმის აღსადგენად.

ამ მიზნის მისაღწევად ისინი არ დგებოდნენ არავითარი საშუალებათა წინაშე. კავშირი თეთრგვარდიელებთან და უცხოელ იმპერიალისტებთან, ბნელ, ჩამორჩენილ მასსების აჯანყება, ბრძოლა იარაღით ხელში, რუსეთის ისედაც აწეწილ-დაწეწილ მეურნეობის უფრო დანგრევა, ტრანსპორტის მოშლა, მრეწველობის განადგურება, სიმშილი, შექმნილ კრიზისის უფრო გამწვავება და ამ ნიადაგზე ხალხის უკმაყოფილების გამოწვევა, ექსპროპრიაცია სახელმწიფო ქონების, მკვლელობა რევოლუციის ბელადების და საერთოდ თეთრი ტერორი,—ყველა ამ სისაძაგლის და ბოროტ-მოქმედებას სისტემატიურად ჩადიოდნენ ეს ნაძირალები.

სასამართლოს სხდომებზე ყველაფერი ეს დამტკიცდა საკმაო საფუძვლიანობით.

აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თვით საბრალმდებულო სკამზე წამოსკუპებული ესერები ორმაგ პოზიციას აშკარავებენ: ერთი მხრივ ისინი ვერ უარყოფენ მათ წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს, მეორე მხრივ ცდილობენ ცოტათ მაინც შეანელონ მათი სიმძიმე, და ერთგვარი „იდეური" და „მორალური" გამართლება მოუპოვონ თავიანთ მოქმედებებს. ისინი აცხადებენ, რომ იბრძოდნენ და ახლაც იბრძოლებდნენ იარაღით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც, მათი სიტყვით, მიუღებელია მუშებისა და გლეხებისათვის და მოყვებიან მომაბეზრებელ ლაქლაქებს „დემოკრატიის" სიკეთეთა შესახებ.

ამავე დროს გრძნობენ რა ასეთი „დასაბუთების" მთელ უნიადაგობას და სიყალბეს, ესერები უარს ყოფენ თავიანთ მონაწილეობას ზოგიერთ იმ ბოროტმოქმედებებში (მაგ. პროლეტარიატის მეთაურების მკვლელობაში და სხვ.), რომლებშიაც ამჟღავნებს მათ საბრალმდებლო აქტი, მიტომ რომ ისე თვალ-მჭრელია და აღმაშფოთებელი ასეთი აქტები, რომ მათი გამართლება არ შეიძლება არავითარი სოფიზმით, მით უმეტეს რევოლუციის სახელით. ასეთი მოქმედებისათვის ესერები ცდილობენ მოხსნან პასუხისმგებლობა მათ ხელმძღვანელ ცენტრს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, და გადააბრალონ ისინი უპასუხისმგებლო კერძო პირებს და ჯგუფებს.

მაგრამ ცხადია, რომ ასეთი ფანდებით ისინი ფონს ვერ გავლენ. სასამართლომ გამოარკვია, რომ ყველა ტერორისტულ და სხვა აქტებს ახდენდნენ ესერების პარტიის წევრები მათი ცეკას დავალებით. ესეც რომ არ იყოს, უკანასკნელი მაინც ვერ მოიხსნიდა პასუხისმგებლობას ამ ბოროტმოქმედებისთვის, რადგან თვით შექმნა პარტიის რიგებში საამისო ატმოსფერა და ნიადაგი. ასეთი ორპირობა და სიმხდალე, დაფარული რევოლუციონური ფრაზეოლოგიით, მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მათ არსებითად არაფერი აქვთ სათქმელი, რომ ისინი მოსისხლე მტრებია მუშათა კლასის და ასეთებად დარჩნენ დღესაც.

ეს საკუთარ ზურგზე გამოსცადა რუსეთის მუშათა კლასმა, ასე შეაფასა გამოუსწორებელი ესერები რევოლუციონურმა პროლეტარიატმა და იმათაც კი, ვინც წინედ შეცდენილობით მისდევდნენ მათ. ესერების ქვედა წრეებიც, როცა დაინახეს მათი ხელმძღვანელების მოღალატური საქმეები, გამოერკვნენ და გაიქცნენ მათგან, ზიზღით შეაქციეს ამ ვაჟბატონებს ზურგი. და ასე მოიქცა არა მარტო ბრალდებულთა ნაწილი, რომელიც მონანიების გზაზე შედგა, არამედ ესერების ყველა ჯანსაღი, მშრომელი ელემენტები.

ამას ადასტურებს ესერების ოდესღაც თანამგრძნობ მუშების უამრავი რეზოლიუციები და განცხადებანი, ამას ამტკიცებს ძველი ესერების დეკლარაცია, რომელიც ჩვენ გაზეთშიც გვქონდა მოთავსებული.

ამაში არ ცდებიან მხოლოდ ესერთა პარტიის ხელმძღვანელები და მათი იდეური მონათესავენი—შეთანხმებელი სოციალისტები.

ისინი ცდილობენ საკითხი მოაქციონ ისეთ ფარგლებში, რომ აქ იყო ბრძოლა რევოლუციის საუკეთესო მიზნების და მეთოდებისათვის. ესერები, მათი სიტყვით, ემსახურებოდნენ რევოლუციის საქმეს. ხოლო ბოლშევიკებმა დაამახინჯეს შინაარსი რევოლუციისა; ამ ბრძოლაში მატერიალურად გაიმარჯვა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ეხლა შურს იძიებს მოწინააღმდეგე რევოლუციონურ პარტიებზე.

საკითხის ასეთი დაყენება ამაო შრომაა. თუ ვინ არის ჭეშმარიტი რევოლუციონერი და ვინ მუშათა კლასის მოღალატე,—ეს საკითხი საბოლოოდ გადაჭრა ისტორიამ. საბჭოთა ფედერაციის გამარჯვებული მუშათა კლასი და საბჭოთა რესპუბლიკების დღევანდელი სიმტკიცე საუკეთესო დამამტკიცებელია იმის, რომ მხოლოდ კომუნისტები ატარებენ რევოლუციის მიზნებს. ამის დამამტკიცებელია აგრეთვე მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის განვითარების ტენდენცია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისაკენაა მიმართული.

რაც შეეხება შურისძიებაზე ლაპარაკს, ეს მართალია თუ შურის ძიებად მივიჩნევთ ბრძოლას რევოლუციის დასაცავად. და ამ „შურისძიებისა" როლში გამოდის რუსეთის მთელი მუშათა კლასი, რომელსაც ამოდენა ტანჯვა და ზიანი მიაყენეს ესერებმა.

მუშათა კლასი უაღრესად მოწყურებულია მშვიდობიანობას და აღმშენებლობითი მუშაობას. ესერები კი არიან მუშების წინააღმდეგ სამოქალაქო ომის მოციქულები. ამის საშუალებას მათ პროლეტარიატი არ მისცემს და სასტიკ, მაგრამ სამართლიან განაჩენს გამოუტანს მათ.

ესერების პროცესი

რატნერის სიტყვა

თავის ვრცელ სიტყვაში ესერების პარტიის იდეოლოგიის შესახებ რატნერი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ ესმის ესერების პარტიას მეცნიერული სოციალიზმი და რაში სცდება იგი. რატნერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ესერების პარტია არასოდეს არ ყოფილა წვრილი ბურჟუაზიული პარტია, არასოდეს არ ყოფილა ოპორტუნისტული. რატნერი არ უარყოფს, რომ პარტიის შიგნით მუდამ იყო მოწინააღმდეგე მიმდინარეობა.

ევანია რატნერი ამბობს, რომ ოქტომბრის გადატრიალება მოხდა პროლეტარულ მასსების მეოხებით. ის აღიარებს, რომ თანდათანობით სხვა და სხვა ადგილებში მასსები გადადიოდნენ ბოლშევიკების მხარეზე.

ეხება რა ბრესტის ხელშეკრულებას რატნერი აკეთებს დასკვნას (გამოტოვებულია).

რაკოვის სიტყვა

რატნერის შემდეგ გამოდის ბრალდებული რაკოვი, რომელიც თავის სიტყვაში ეხება უმთავრესად ესერების პარტიის მოღვაწეობას განაპირა ადგილებში. რაკოვი აღიარებს ესერების პარტიის სიზანტეს ძირითად კანონის გამოქვეყნებაში და ხსნის ამას რეფორმების გატარების სურვილით.

რაკოვი ამტკიცებს, რომ სამარის ფრონტი შეიქმნა არა შეთქმულობის ტაქტიკის ნიადაგზე, არამედ მასსების სტიქიურ მოძრაობის გამო. რაკოვი პოკროვსკის მტკიცების წინააღმდეგ აცხადებს, რომ „უჩრედილკის" კომიტეტი ეყრდნობოდა იმ გლეხების მუშაობაზე, რომელნიც უწევდნენ მას სრულ დახმარებას. „კომუჩის" ფინანსიური საბჭო მართალია, შესდგებოდა ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან, მაგრამ ეს კომიტეტი იყო მხოლოდ სათათბირო ორგანო. რაკოვი უარყოფს „კომუჩის" მიერ მიწაზე კერძო საკუთრების აღდგენის ცდას, ის აგრეთვე უარყოფს „კომუჩის" ტერიტორიაზე მუშა ხალხის დევნას.

თავის სიტყვის დასასრულში რაკოვი ეხება რა ციმბირის გლეხთა კავშირებს, კატეგორიულად უარყოფს პარტიის მონაწილეობას ამ კავშირებში. რაკოვი აღნიშნავს, რომ იგნატიევს, რომელიც იყო მომწყობი ციმბირის კავშირებისა, სურდა თავი ეხსნა ბანდიტიზმში ბრალდებისაგან და ამიტომ თავის საქმეში ჩარია ესერების პარტია.

ციმბირის შემდეგ რაკოვი გადადის შავი ზღვის ნაპირებში მუშაობაზე. იგი არწმუნებს, რომ გლეხების პარტია დენიკინის ზურგს უკან აწყობდა შეიარაღებულ აჯანყებას, რითაც ძლიერ დიდ ზიანს აყენებდა დენიკინის სამხედრო ძალებს.

თავის სიტყვის დანარჩენ ნაწილს რაკოვი ანდომებს ტამბოვის საქმეების გარჩევას და ესერების პარტიის როლს ამ საქმეებში. რაკოვი ცდილობს უარყოს სახელმწიფო ბრალმდებლის დებულებანი და ამტკიცებს რომ ესერების პარტიას საერთო და კერძოდ ტამბოვის ადგილობრივ ორგანიზაციას არავითარი დამოკიდებულება არ ქონებია ტამბოვის გლეხების აჯანყებასთან.

დამცველ ჩლენოვის სიტყვა

თავის სიტყვის დასაწყისში კონოპლიოვას და დაშევსკის დამცველი ჩლენოვი ეხება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხსენებული პროცესის იმის მიხედვით, რომ ბრალდებულნი გაყოფილნი არიან ორ ჯგუფად და რომ ერთი ჯგუფი ბრალდებულებისა ბრალს სდებს მეორე ჯგუფს. ვანდერველდე, ბრალდებული გენდელმანი და სხვ. მიაჩნიათ ბრალდებულთა მარცხნივ სკამებზე მსხდომნი გამცემლებათ და „შპიონებათ". ეს რომ დამტკიცებული ყოფილიყო, რომ რომელიმე მათგანი გულწრფელად არ გამოტეხილიყვნენ და არ აღიარებდნენ თავის შეცდომებს, და თავისი პირადი სიცოცხლისათვის გაეცათ ამხანაგები, ასეთი პირები უნდა დაგვეხვრიტა, როგორც ყველაზე უფრო მძიმე ბოროტმოქმედნი. „მე არა მაქვს საფუძველი, ამბობს ჩლენოვი, ბრალი დავდო „შპიონობაში" პირველი ჯგუფის ბრალდებულებს. მათ არა თავისი პირადი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, არამედ პარტიის სახელისა და ღირსების დასაცავად მსხვერპლად მოაქციეს თავისი ყოფილი ამხანაგები, რომელთაც გზავნიდენ მძიმე ბოროტმოქმედებათა შესასრულებლად. გენდელმანი ამბობს, რომ შეუძლებელია დაეჯეროთ კონოპლიოვას და სიმონოვს. აქა ეს?

სად არის წინააღმდეგობა?

ჩლენოვი თავის სიტყვის უმთავრეს ნაწილში აკეთებს დაწვრილებით ანალიზს იმ ჩვენებათ, რომელიც მისცეს მოწმეებმა და ბრალდებულებმა სასამართლოში და იმ მეთოდებს, რომლითაც ხმარობდნენ პირველ ჯგუფის წევრები, რომ გზა-კვალი აებნიათ და ერთმანეთის საწინააღმდეგო ჩვენებანი მიეცათ არა მათ სასარგებლო მოწმებს. „გასაგებია,—ამბობს ჩლენოვი, რომ პირველი ჯგუფის ჩვენებაში უფრო ცოტა წინააღმდეგობაა, რადგანაც ამ ჯგუფის წევრები მოქმედებენ აქ შეთანხმებულად, ცეკას დირექტივების მიხედვით, რომელიც მათ მიიღეს სასამართლოს პროცესის დაწყებამდე და ისინი ცალ-ცალკე ჩვენებას არ იძლეოდნენ". მაგალითისათვის ჩლენოვს მოყავს ივანოვას ჩვენება, რომელმაც პარტიის სურვილების სისწორით ასასრულებლად აქ მოიყვანა რაღაც გამოგონებული დებულება. ივანოვამ ერთხელ მისცა ჩვენება განსაკუთრებულ კომისიაში. მაშინ მან განაცხადა, რომ იგი უპარტიოა და ითხოვა არ დაეკითხათ მისთვის, რადგანაც იგი არანორმალურ მდგომარეობაში იმყოფება. იგი ირწმუნებოდა, რომ თანაუგრძნობს საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ ზოგიერთ საკითხებში არ ეთანხმება კომუნისტებს და სხვ. ამიტომ შესაძლებელია, დაუშვათ ისეთი გარემოება, ამბობს ჩლენოვი, რომ დანარჩენი ბრალდებულებიც პარტიის გულისათვის უარყოფენ ყველა ისეთ ფაქტებს, რომელნიც ხელსაყრელნი არ იქნებიან პარტიისათვის. აქედან გამომდინარეობს მათი თეორია: ვისაც სურს იყვეს პარტიის პატიოსანი წევრი, მან არ უნდა მისცეს ისეთი ჩვენება, რომელიც სასარგებლო არ იქნება ბრალდებულებისათვის. ვინც ასეთ ჩვენებას მისცემს ის—იქნება პარტიის მოღალატე".

მდგომარეობა გერმანიაში

(საუბარი გაზეთ „როტეფანეს რედაქტორებთან", ამხ. ფრიდრიხ და ლეონიდთან)

თბილისში ყოფნის დროს, გერმანიის კომუნისტური პარტიის გაზეთ „როტეფანეს" რედაქტორებმა, ამხ. ფრიდრიხმა და ლეონიდმა, კავროსტას თანამშრომელთან ბაასის დროს განაცხადეს შემდეგი:

რატომ დაიგვიანა გერმანიაში რევოლუციამ?

საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატი ძალიან დაინტერესებულია იმით, თუ რატომ დაიგვიანებს გერმანიაში რევოლუცია? ამას მრავალი მიზეზები აქვს, ხოლო მათ შორის უმთავრესი კი არის შემდეგი: გერმანიის მუშებს დიდი ხნის განმავლობაში სწამლავდენ პროფესიონალური კავშირები. ბიუროკრატი ხელმძღვანელები ამ კავშირებისა ასწავლიდენ მუშებს მუშაობას კლუბებში, სხვა და სხვა განმანათლებელ ორგანიზაციებში, რასაც გინდათ ყველაფერს გარდა რევოლუციონური ბრძოლისა. ეს ჩვეულებები დღეს დღეობით ძალიან აშკარად მოსჩანან ჩვენ რევოლუციონურ მოძრაობაში. ჩვენში არ იყო აგრეთვე ბევრი ფაქტორები რევოლუციისა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა აქ თქვენში. ჩვენ არ გვქონდა თქვენი გამოცდილება, 1905 წლის რევოლუციის გამოცდილება. ჩვენ არ გვყავდა ის დიდი რევოლუციონური კონტიგენტი, როგორც იყო რუსეთში უმიწაწყლო გლეხობა. ჩვენი გლეხობა წვრილ-ბურჟუაზიული და კონსერვატიულია, ნაწილობრივ კი პირდაპირ „კულაკები". თითონ გამონაკლისს შეადგენენ ჩვენი სასოფლო მეურნეობის მუშები—„ბატრაკები", რომელნიც უეჭველად რევოლუციონერები არიან. თქვენ გყავთ გამოცდილი ხელმძღვანელები, ჩვენი მეთაურები კი და ბევრი ძველი ამხანაგები დახვრიტა და მოკლა ბურჟუაზიამ, შეიარაღებულ ორგანიზაციის და სხვათა ხელით; მრავალნი ახლაც ციხეებში იტანჯებიან. თქვენ 1917 წელში გყავდათ რევოლუციონური ჯარის კაცების არმია, რომელიც ჩვენში არ არსებობს. ჩვენი არმია—დაქირავებული რეიხსვერი—შესდგება მონარქისტულ იუნკერ-ოფიცრებისაგან, ჯარისკაცებიც სათანადონი არიან შერჩეულნი და იმყოფებიან სასტიკად თავის რეაქციონურ ოფიცრობის გავლენის ქვეშ. დასასრულ თქვენი ბურჟუაზია ჩვენსაზე უფრო სუსტი და ნაკლებად დარაზმული იყო. ჩვენ ბურჟუაზიას ყავს ლეგალური და არა ლეგალური შეიარაღებული ორგანიზაციები, დაქირავებული არმია, იარაღი და ეგრეთ წოდებული „მწვანე პოლიცია". მართალია იმ რაიონებში, სადაც ამ უკანასკნელთ დამოკიდებულება აქვს მუშებთან, როგორც მაგალითად ბერლინში, იგი უფრო რევოლუციონურია. ყოველივე ეს ერთგვარად აბრკოლებს რევოლუციის საქმეს გერმანიაში.

რევოლუციის ფაქტორები გერმანიაში

ზემო ნათქვამიდან სრულებითაც არ გამომდინარეობს ის, თითქოს გერმანიის მუშები არ მიისწრაფოდენ აღმოუჩინონ დახმარება თავის ძმებს საბჭოთა რესპუბლიკებში და რომ გერმანიაში რევოლუცია არ ახლოვდება.

უმთავრესი მიზეზი, რაც თანდათანობით, მაგრამ უეჭველად უახლოებს გერმანიას რევოლუციას,—არის გერმანიის მუშათა საშინელი ეკონომიური მდგომარეობა. როგორც თქვენც იცით, ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ, გერმანიამ დაკარგა ყველა თავისი კოლონიები და მას სულს უხუთავს 132 მილ. მარკის (ოქროთი) კონტრიბუცია. ამ კონტრიბუციის გადასახდელათ გერმანიისა და ანტანტის ბურჟუაზია ერთგვარად უხუთავენ სულს გერმანიის მუშათა კლასს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ბურჟუაზია ძველებურად აგროვებს მოგებას და შეიძლება მეტსაც, მაგრამ მუშას ამით მდგომარეობა არ უმსუბუქდება, სამუშაო ხელფასი არ დიდდება. ამავე დროს კი მარკის ფასი ეცემა, ხოლო სიძვირე თანდათან მატულობს. ასეთივე მდგომარეობაა, რასაკვირველია, სოფლის მეურნეობაშიაც.

პური გაძვირდა და ამ გარემოებით სარგებლობენ მხოლოდ მემამულენი და „კულაკები", მაგრამ არა გლეხები; და ასე წარმოიდგინეთ წვრილი გლეხობაც ჩვენი მუშების ამ ჟამად ბევრად უარესათ სცხოვრობენ ვინემ ომამდე. გადასახადები და სიძვირე იზრდება, ხოლო ხელფასი კი საოცრად მცირეა. ისინი იკვებებიან თითქმის მხოლოდ და მხოლოდ პურითა და ნახარში წყლით, ხანდახან რაღაც „მარგანით" და ხშირათ კი ეს უკანასკნელიც არსად არის. **ეს თანდათანობით უარესი და უარესი ეკონომიური მდგომარეობა გერმანიის მუშებისა, არის ერთი უმთავრესი და ეჭვს გარეშე, უტყუარი ფაქტორი მასსების გარევოლუციონერებისა და იმის მიზეზიც, რომ ეს მასსები თანდათანობით თავისუფლდებიან ბიუროკრატიული მეთაურების შეიდემანელებისა და დამოუკიდებლების გავლენისაგან და გადმოდიან ჩვენ მხარეზე.** ჩვენ არ გვაძლევენ საშუალებას მივიდეთ მათთან, მაგრამ როგორც კი ჩვენსა და მათ შორის იქმნება უშუალო დამოკიდებულება, ისინი უკვე ჩვენგან აღარსად აღარ მიდიან. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ ჩვენი პარტიის მიერ ამორჩეული გზა ერთიანი ფრონტისა—უეჭველად სწორი და მართალია. ვიმეორებთ, მუშების ეკონომიური მდგომარეობის, პროგრესიული ტემპით მიმდინარე გაუარესება და რასაკვირველია აგრეთვე სხვა მიზეზებიც, უეჭველად გვიახლოვებენ ჩვენ რევოლუციას. საბჭოთა ფედერაციას ჩვენი მუშები ისევე, როგორც ჩვენ ვუყურებთ, როგორც ჩვენ მასწავლებლებს. ისინი სცდილობენ დაეხმარონ რუსეთის ამხანაგებს, რომელთაც გაიმარჯვეს რევოლუციაში, რითაც კი შეუძლიათ. თქვენ **იცით, რასაკვირველია, რომ ერთდროს ჩვენში იყვნენ, თქვენგან გამოხსნილი წითელი არმიელები. გერმანიის ბურჟუაზიამ ისინი მოათავსა საკონცენტრაციო ბანაკებში. შემოზღუდა იგინი ისრიანი ხიშით და სტანჯავდა მათ სიმშილით. ხოლო ჩვენი მუშები კი რითაც შეეძლოთ ყოველ გვარად ეხმარებოდნენ წითელ არმიელებს. ისინი იღებდნენ წილს თავის უმნიშვნელო გასამრჯელოდან და ამით სიმშილობის სიკვდილისაგან იფარავდნენ წითელ არმიელებს. შემდეგ ისინი ეხმარებოდნენ რუსეთის გლეხობას—დამშეულ ვოლგის მხარეს, ეს თქვენც იცით. ამ ჟამად საზღვარ-გარეთულ მუშების დამშეულთა დამხმარე კომიტეტებს ქმნიან ეკონომიური დახმარების კომიტეტებათ. ამ კომიტეტების მიზანია დახმარება აღმოუჩინონ საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატს ტეხნიკური ინსტრუმენტებით, მანქანებით, კვალიფიციური მუშების არტელებით და სხვ.**

შეიდემანელები, დამოუკიდებლები, კომუნისტები.

რასაკვირველია შეთანხმებელთა გავლენა გერმანიის მუშებზე ჯერ კიდევ ძლიერია, მაგრამ ეს გავლენა თანდათანობით ეცემა და სუსტდება. შეიდემანელებს ყავთ დაახლოვებით ერთი მილიონი წევრი, ჩვენ, კომუნისტურ პარტიას კი დაახლოვებით 400,000 წევრი. დამოუკიდებლებს ყავთ ცოტათი ჩვენზე უფრო ნაკლები რიცხვი წევრებისა. შეიდემანელები ამ ჟამად დეპროლეტარიზაციის მდგომარეობაში იმყოფებიან, ე. ი. საუკეთესო, ნამდვილათ მუშური **ელემენტები შორდებიან მას და გვიერთდებიან ჩვენ,** ხოლო შეიდემანელების პარტიაში თანდათან იზიდება წვრილ-ბურჟუაზიული—მეშჩანური ელემენტები: რესტორანის მეპატრონეები, მედუქნეები და სხვ. დამოუკიდებლები ერთ დროს სარგებლობდენ დიდი გავლენით. ისინი ილაშქრებდენ შეიდემანელების წინააღმდეგ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი მხარს უჭერდენ იმპერიალისტურ ომს, მაგრამ არც ჩვენ მხარეზე გადმოდიოდენ, რადგანაც ჩვენ გვწამს რევოლუციონური ბრძოლა. ახლა კი დამოუკიდებლებში სწრაფათ სწარმოებს გახრწნა და დაშლა. მეთაურები მარჯვნივ იხრებიან და ალბად შეუერთდებიან შეიდემანელებს, ხოლო მასსები კი მემარცხენეებთან, თანდათანობით ჩვენ მხარეზე გადმოდიან და ეს გარემოება მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ეს მტკიცდება გერმანიის მრავალ ქალაქებში, თქვენთვის უკვე ცნობილი მოქმედების კომიტეტების (საკონტროლო კომიტეტების) დაარსებით.

უკანასკნელი ამბები

უკანასკნელ ხანებში მომხდარი ამბები ერთხელ კიდევ ამტკიცებენ იმას, თუ ჩვენი პარტია რამდენათ სამართლიანად აფასებს პოლიტიკურ მდგომარეობას გერმანიაში და რამდენათ მართალია ჩვენ მიერ აღებული გზა. შეთანხმებელთა პარტიების ტაქტიკამ შექმნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოიქცა ლიბერალური ბურჟუაზია. მაგრამ რეაქცია არას დროს არ დასუსტებულა. იგი თარაოს იხამდა. მისი ორგანიზმი, დაქირავებული რეიხსვერი და ამგვარი სხვა სამხედრო და არა სამხედრო საზოგადოებანი, აძლევდენ მას გამხნევებას მოეხდინა აშკარა თავდასხმანი და გამოსვლები, როგორიც იყო მაგალითად კაპპის აჯანყება წინათ და ერცბერგერისა და რატენაუს მკვლელობანი ახლო წარსულში. განსაკუთრებით დამახასიათებელია კონფლიქტი ბავარიასთან. **ბავარია არის ლეგალური შტაბი გერმანიის რეაქციისა.** აქ მონარქისტები ძლიერად გრძნობენ თავს, აქ მოიყრიან მათ თავი და ბერლინის მთავრობას არა აქვს შეძლება გაუსწორდეს ამ შავ ძალებს. უკანასკნელი ცნობები იმას გვიუბნებიან, რომ ბერლინის მთავრობამ გაუგზავნა მათ ბავარიაში თავისი წარმომადგენელი მოსალაპარაკებლად. მაგრამ ყოველივე ის იმის მაჩვენებელია, რომ ბერლინის მთავრობას არა აქვს არავითარი ძალა გაუმკლავდეს ბავარიის რეაქციას. მას შეუძლია გაუსწორდეს მხოლოდ გერმანიის პროლეტარიატს, გერმანიის გაერთიანებულ მუშათა კლასს. რესპუბლიკის თავდაცვის კანონი არის მხოლოდ კომედია: **იგი უფრო გერმანიის მუშების წინააღმდეგ არის მიმართული, ვინემ რეაქციის წინააღმდეგ.**

ვინ უფრო ჩქარა ჩაიგდებს ხელში ხელისუფლებას?

ვინ უფრო ჩქარა მოექცევა ხელისუფლების სათავეში: მუშები თუ რეაქცია? რასაკვირველია შესაძლებელია მონარქისტული გადატრიალებაც, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ ერთი დღით, ერთი კვირით. ჩვენი მუშები ახლაც ისევე შეძლებენ იუნკრებთან გასწორებას, როგორც მათ სწრაფად მოახდინეს კაპპის ლიკვიდაცია. მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ მუშებმა უფრო ჩქარა შეძლონ ხელისუფლების დაპყრობა. დამოუკიდებლები იხრწნებიან, შეიდემანელებში დეპროლეტარიზაცია სწარმოებს, მათი მასსები სცილდებიან მეთაურებს და ქმნიან პროლეტარიატის ერთიან ფრონტს. მუშები თანდათან გებულობენ, რომ მხოლოდ მათ თვითონ შეუძლიათ საკუთარი ინტერესების დაცვა და რეაქციის თავიდან აცილება. გამოსავალი ერთია—მუშათა მთავრობის შექმნა. რასაკვირველია ეს კიდევ არ არის საბჭოთა მთავრობა და პროლეტარიატის დიქტატურა. ეს ერთი ეტაპი, გარდამავალი საფეხურია. **როდესაც ამ საფეხურს ჩვენ გავცდებით და შემდეგ გერმანია გახდება საბჭოთა რესპუბლიკათ, მაშინ მის და საბჭოთა რუსეთს შორის მოხდება არა მარტო ურთიერთი ცნობა, არამედ მათ შორის დამყარდება განუწყვეტელი მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი.**

მოქმედების კომიტეტები (ანუ საკონტროლო კომიტეტები) უდიდესი მონაპოვარია მუშათა მთავრობის შექმნის და გერმანიის საბჭოთა რესპუბლიკათ გადაქცევის გზაზე.

საკონტრიბუციო საკითხი, გერმანიის ფინანსების კონტროლი

საფრანგეთის ბურჟუაზია გაჰყვირის იმაზე, რომ გერმანიას შეუძლია და უნდა გადაიხადოს კონტრიბუცია, ხოლო ჩვენი ბურჟუაზია კი სულ წინააღმდეგს ამტკიცებს. საფრანგეთის ბურჟუაზიას არ შეუძლია იცხოვროს გერმანიის კონტრიბუციის გარეშე ხოლო გერმანიის ბურჟუაზია კი ჩაკვდება თუ იგი ამ კონტრიბუციას გადაიხდის. **მაგრამ, მიუხედავათ ამისა ერთ რამეში ისინი მაინც მშვიდობიანად უხმატკბილდებიან ერთმანეთს: კონტრიბუცია სავსებით გერმანიის მუშათა კლასს აწევს კისერზე მას უკანასკნელ სისხლსა სწოვს.** გერმანია ძალიან ფართოდ ასაღებს თავის პროდუქტებს; ეს საქონელი შედარებით უფრო იაფია და ფაბრიკანტების მოგებაც თანდათან იზრდება. სტინესმა ასე წარმოიდგინეთ წამოაყენა საკითხი „მსოფლიო" ფასების დაწესების შესახებ, ე. ი. საქონლებზე გერმანიის ფასების გათანაბრება იმ ფასებთან, რომელიც არსებობს მაღალი ვალიუტის ქვეყნების საქონელზე. სტინესს არაფერის არ ეშინია, ის თავის ნაწარმს სულ ერთია გაყიდის, და მაშინ მოგება უფრო მეტი იქნება. მაგრამ რა შედეგი მოყვება ამას ჩვენი მუშებისათვის,—ეს ყველასათვის ცხადია: ცხოვრების უფრო გაძვირება, ძველ მცირე სამუშაო ხელფასისა და გადასახადების არსებულ მძიმე პირობებში. ამ ჟამად ანტანტამ დაიწყო კონტროლი გერმანიის ფინანსებზე. ეს პირველი ნაბიჯია გერმანიის ხალხის ანტანტის მონებათ გადაქცევის გზაზე. გერმანიის ანტანტის კოლონიად გადასაქცევად ისევე, როგორც ის ჩაიდინეს ავსტრიის მიმართ, რომელსაც ახლა არა აქვს საკუთარი ემისიის უფლებაც კი, რისთვისაც ავსტრიაში სპეციალურად შექმნილია უცხოეთის საემისიო ბანკი.

„სექტემბერი"

ის რაც ახლა ჩვენში ხდება, ჯერ კიდევ არ არის სამოქალაქო ომის ცეცხლი, რევოლუცია, მაგრამ იგი უეჭველად მისი მომზადებაა. არსებული მდგომარეობა დაახლოვებით შეიძლება შევადაროთ იმას, რაც ხდებოდა რუსეთში 1917 წლის სექტემბერში. ეს ჩვენი „სექტემბერია" მოყვება თუ არა ამას „ოქტომბერი" ერთი კვირისა, თვისა თუ უფრო დიდი ხნის შემდეგ, ძნელი სათქმელია, მაგრამ ამ „სექტემბერის" შემდეგ „ოქტომბერი" უეჭველად მოვა. ვერსალის ხელშეკრულება და ანტანტისადმი მონური დამოკიდებულება მოისპობა და მაშინ გერმანიის პროლეტარიატსა და საბჭოთა ფედერაციის შორის დადებული იქნება არა რაპალოს ხელშეკრულება, არამედ ის ზავი, რომელზედაც ჩვენ ზევით უკვე მოგახსენეთ. ვინაიდან მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობა არის მისივე გამარჯვების თავდები.

იურ. გურსკი.

საქართველოს ეროვნული

რადიო-დეპეშები

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანიაში.

გერმანიის ნოტა.

ნაუენი. 2 აგვისტო (რადიო). გერმანიის ნოტაში, რომელიც გაეგზავნა საფრანგეთის [illegible] ნოტას საპასუხოდ, [illegible], ნათქვამია, რომ მუქარის პოლიტიკა არის არა აღმშენებლობითი, არამედ დანგრევის პოლიტიკა. ნოტაში აღნიშნულია, რომ შეთანხმება დადებული იყო ყველა მოკავშირეებთან და ამიტომ გერმანია პროტესტს აცხადებს საფრანგეთის ულტიმატუმის წინააღმდეგ. დასკვნაში ნათქვამია, რომ გერმანია არ [illegible] გადასახადის საერთო ჯამის შემცირებას, არამედ ითხოვს [illegible] გადახდის ვადის გაგრძელებას. ნოტაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ საფრანგეთის პრაქტიკამ იმ ზომამდე დასცა გერმანიის მარკის კურსი, რომ ოქროს მარკა ღირს 116 ქაღალდის მარკად.

პრესის აზრი.

ნაუენი. 2 აგვისტო (რადიო). გერმანიის პრესა სწერს მთავრობის თვალსაზრისს და ამბობს, რომ ასეთივე მდგომარეობა უნდა შექმნას [illegible] მოწოდების [illegible], რომელიც [illegible] უნდა მოხდეს [illegible] 7 აგვისტოს [illegible] ამ [illegible] განსაზღვრავს [illegible] გერმანიის [illegible].

ინგლისის პრესის შეხედულება.

ნაუენი. 2 აგვისტო (რადიო). გაზ. „დეილი ტელეგრაფის" აზრით პუანკარეს ნოტა გერმანიისადმი იწვევს კრიტიკულ მდგომარეობას საფრანგეთისათვის, და [illegible] ასეთივე [illegible] სანამ საფრანგეთი [illegible] მოკავშირეთა თანხმობის გარეშე.

[illegible] აზრი.

ნაუენი. 2 აგვისტო (რადიო). [illegible] ეცნობა რა გერმანიის მდგომარეობას, [illegible] შეერთებულ შტატებში გაგზავნილ დეპეშაში [illegible] საჭიროებას, რათა ამერიკამ [illegible] ევროპის მდგომარეობა. [illegible] ამბობს, რომ ვერსალის ხელშეკრულება უარყოფს სამართლიანობას და ძმობის იდეას, რის შესახებაც ოცნებობდა ვილსონი. ვერსალის ხელშეკრულება [illegible] შესაძლებლობას ქვეყნების მიერ ერთმანეთის გაგებისას, რაც [illegible] და [illegible] ეკონომიურ კრიზისთან აუცილებელ და ჩქარ [illegible] რით გერმანიის მდგომარეობის გასწორება შეიძლება მხოლოდ ორი წლის მორატორიუმის საშუალებით.

ედისონის განცხადება.

ბორდო. 2 აგვისტო (რადიო). გაზ. „ექსელსიორში" დაბეჭდილია ედისონის განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ მას [illegible] იმაში, რომ ამერიკაში ომი არ იქნება, მაგრამ მას აუცილებლად მიაჩნია [illegible] გერმანიას, რომ მისი ოცნება [illegible] უაზრობაა.

მოკავშირეთა დამოკიდებულება.

ბორდო. 2 აგვისტო (რადიო). [illegible] ინგლისის ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ [illegible] იტალია და ბელგია [illegible] საფრანგეთს, მიმართონ [illegible].

გერმანიის პასუხი.

ბორდო. 2 აგვისტო (რადიო). გერმანიის [illegible] საფრანგეთის [illegible] წლების [illegible] ფინანსიური [illegible] არ შეიძლება [illegible] მთავრობა მიუთითებს უნუგეშო ფინანსიურ [illegible] გადაწყვეტილია მარკის კურსის დაცემით, რაც შეუძლებელს ხდის [illegible] 2 [illegible] გადასახლებას.

[illegible] ოკუპაციის გამო.

ნაუენი. 2 აგვისტო (რადიო). [illegible] კონფერენციამ დაადგინა [illegible] ოკუპაციის [illegible] 228.000 [illegible] ოკუპაციის ჯარის შენახვისათვის [illegible].

გაზეთების დახურვა.

ნაუენი. 2 აგვისტო (რადიო). [illegible] გერმანიაში ივნისში დაიხურა 1000 გაზეთი, [illegible] ლისში იმავე მიზეზის გამო დაიხურა 270 გაზეთი.

ტრიბუნალის სხდომა.

ბორდო. 2 აგვისტო (რადიო). ტრიბუნალის პირველი სხდომა შესდგება 10 აგვისტოს. ის გაარჩევს რამოდენიმე საქმეს ამათ რიცხვში [illegible].

[illegible]

[illegible] 1877—1895 წელში დაბადებულ პირთა რეგისტრაცია [illegible] აგრეთვე რეგისტრაცია ცხენების და სატრანსპორტო საშუალებათა. მთავარი შტაბის უფროსმა [illegible] რეგისტრაციის [illegible] მთავარი შტაბის უფროსმა, [illegible] ჯარი უნდა [illegible].

ინგლისი და რუსეთი.

მოსკოვი. 1 აგვისტო (რადიო). თემთა პალატაში ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: თუ რუსეთის მთავრობა გადაჭრით განაცხადებს თავის მზადყოფნას, რომ მას სურს რუსეთის დელეგაციის მიერ ჰააგაში დასახელებული პოლიტიკის განხორციელებას, ბრიტანეთის მთავრობა [illegible] ყველაფერს გააკეთოს რათა ხელი შეუწყოს ყველა თავის ქვეშევრდომით, რომელთაც [illegible] რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის დაწყება. რუსეთში საქონლის [illegible] მათ მიეცემათ სესხი, ჯერ არ არის გადაწყვეტილი [illegible] იქნება თუ არა ახალი კონფერენცია, თუ რუსეთმა [illegible] მოგვცა.

ამერიკაში გაფიცვების გამო.

მოსკოვი. 1 აგვისტო (რადიო). რკინის გზების გაფიცვის ხელმძღვანელებთან გაერთიანებულ კონფერენციაზე პრეზიდენტ ჰარდინგის [illegible] რკინის გზის ადმინისტრაცია და პროფკავშირები [illegible] განსხვავებულად [illegible].

[illegible]

მოსკოვი. 1 [illegible] (რადიო). ინგლისის [illegible]

[illegible] ლად საკითხი [illegible] ინგლისის [illegible] ამერიკის [illegible] მიღწევას.

განიარაღების საკითხის გამო.

მოსკოვი. 1 აგვისტო (რადიო). [illegible] პოლონეთისა და ბალტიის სახელმწიფოების ექსპერტების [illegible] განიარაღების [illegible] შესდგება რეველში [illegible] კვირის დასაწყისში.

მოსკოვი. [illegible] (რადიო). [illegible] ლონდონში სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ ქვეყანას ძოლის საფრთხე, ახალ შეიარაღებულ კონფლიქტის აუცილებლობის გამო. ლოიდ ჯორჯის აზრით საჭიროა ერთა ლიგის გაფართოება.

ახალი კაბინეტი.

რომი. 2 აგვისტო (რადიო). [illegible] შეადგინა ახალი კაბინეტი, იმავე პირთა შემადგენლობით, გარდა საშინაო მინისტრისა, (ტაქსის [illegible]) [illegible] (პარატორე) [illegible] და [illegible] (ლუიჯი ალესიო) [illegible] მინისტრთა [illegible] დანიშნულია [illegible] მინისტრი [illegible].

[illegible] მოსკოვი.

ნაუენი. 2 აგვისტო (რადიო). [illegible] 48 [illegible] კონსტანტინოპოლის [illegible].

[illegible] „[illegible]" [illegible]

ნაუენი. 2 აგვისტო (რადიო). [illegible] პროფკავშირების [illegible] გადასახადის გაფიცვებში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან ამ გაფიცვებს [illegible] კლასიკურად [illegible].

საერთო გაფიცვა.

ბორდო. 2 აგვისტო (რადიო). [illegible] არ მიიღეს [illegible] დღის [illegible] შეიძლება [illegible] გაზეთები [illegible] ქალაქში [illegible].

[illegible]

ბორდო. 2 აგვისტო (რადიო). [illegible]

[illegible] ში [illegible] მინის-[illegible] თანამდებობის.

ინგლისის იარაღის [illegible].

ბორდო. 2 აგვისტო (რადიო). „დეილი მეილის" ცნობით ინგლისის თავდაცვის კომიტეტმა ლონდონის [illegible] დაადგინა [illegible] აეროპლანების 15-20 ესკადრილიის [illegible].

[illegible]. 1 აგვისტო (რადიო). [illegible] პროლეტარულ ორგანიზაციების მობილიზაციან [illegible] ლად. [illegible]

ქალაქში [illegible] და [illegible] 9 [illegible] 50 [illegible] საერთო [illegible].

ნაუენი. 2 აგვისტო (რადიო). [illegible] ძნეთის გარეშე საქმეთა მინის-[illegible] ბალტაცი [illegible] უწყობს, რომ [illegible] ჯარები, [illegible]

ბორდო. 2 აგვისტო (რადიო). [illegible] 41,000 [illegible] 30 [illegible] კონსტანტინოპოლის [illegible].

სასურსათო გადასახადის [illegible]

მოგვყავს ახალი დამატებითი ცნობები, რომელიც მიიღო [illegible] სასოფლო სასურსათო კომისარიატმა:

გორის მაზრა. გადასახადის გაწერა დასრულდა. საბოლოო სიები უკვე დამტკიცდა სამაზრო სასურსათო საბჭოს მიერ. გადასახადის აკრეფა აგვისტოს 1 [illegible].

ახალ-სენაკის მაზრა. სოფლის ამასკომთა თავმჯდომარეების კრებამ გადასახადი თემებში განაწილდა. მიეცათ [illegible] გადასახადის [illegible] და თავის დროზე აკრეფა [illegible].

ახალციხის მაზრა. ივლისის 4-ს თემებზე გადასახადის გაწერა დასრულდა. ივლისის 23-ს [illegible] გადასახადი განაწილებულ იქმნა გადამხდელთა შორის. გადასახადის აკრება აგვისტოს 7-ს დაიწყება.

[illegible] პოლში განაგრძობენ იმ ზომების განხილვას, რომელიც საჭიროა მიღებულ იქნეს ბერძნების ჯარების კონსტანტინოპოლზე შემოსევის დროს.

ბალფურის ნოტა.

ნაუენი. 2 აგვისტო (რადიო). ბალფურმა მიმართა ცირკულიარული ნოტით ყველა მოკავშირე მთავრობას, მათ შორის შეერთებულ შტატებსაც. ამ ნოტაში ბალფური [illegible] თანხები, რომელიც [illegible] უნდა მიიღოს ევროპის სახელმწიფოებისაგან, [illegible] პრაქტიკული [illegible] შეიძლება განხილულ იქნეს გარეშე ბრიტანეთის სამხედრო ვალებისა, რომელიც [illegible] შეერთებულ შტატებისა.

ირლანდიაში.

ნაუენი 2 აგვისტო (რადიო). მთავრობის ჯარებმა დაიჭირეს [illegible] და [illegible] დე-ვალერას მდივანი.

ბორდო. 2 აგვისტო (რადიო). მთავრობის ჯარებმა აიღეს [illegible] კილმალოკის დაცემა აუცილებელია [illegible] ვალერის მომხრენი [illegible] ლონდონში.

ჰონკონგში.

ნაუენი. 2 აგვისტო (რადიო). ჰონკონგში ცენტრალურ [illegible] ამერიკაში.

ბორდო 2 აგვისტო (რადიო). [illegible] ფიქრობენ, რომ პრეზიდენტი [illegible] პირობები შეიძლება იქნება.

[illegible] ლიგაში.

ბორდო. 2 აგვისტო (რადიო) ერთა ლიგის მუდმივმა სამანდატო კომისიამ [illegible] თავის თავმჯდომარედ მარკიზ ტეოდოლი.

პუანკარე და ლოიდ-ჯორჯი.

ბორდო. 2 აგვისტო (რადიო). ინგლისის მთავრობამ მიმართა პუანკარეს წინადადებით, ჩაეტარებინათ [illegible] ლონდონში 7 აგვისტოს. ამ დღისათვის იტალია და ბელგია გაგზავნიან [illegible] თავიანთ წარმომადგენლებს.

[illegible]

ბორდო. 2 აგვისტო (რადიო). [illegible] და [illegible] შუა [illegible].

მატარებლის დაკავება. [illegible] მიყავდა [illegible] თანამატარებლებ [illegible] შორის და [illegible] 2 [illegible] 21 და [illegible] 24 [illegible] კონსტანტინოპოლი და მოკავშირეთა ჯარები.

ბორდო. 2 აგვისტო (რადიო). კონსტანტინოპოლიდან [illegible] მოკავშირეთა [illegible] საფრანგეთის [illegible] კონსტანტინოპოლზე [illegible] წინააღმდეგობის [illegible] საქმეები.

[illegible]

მოსკოვი 2 აგვისტო (რადიო). [illegible] ბულგარეთში [illegible] ულტიმატიური [illegible].

პრესა ბერძნების განზრახვების შესახებ.

მოსკოვი. 2 აგვისტო (რადიო). საფრანგეთის პრესა [illegible] ბერძნების [illegible] კონსტანტინოპოლის [illegible] შესახებ [illegible] რომ თუ ვინიცობაა [illegible] მოკავშირე სახელმწიფოების [illegible] კონსტანტინოპოლზე [illegible] მოკავშირეთა [illegible] ჩატარების ნაწილი.

პოლონეთში.

მოსკოვი. 2 აგვისტო (რადიო) პოლონეთის სეიმმა მიიღო ახალი საარჩევნო კანონი, ეს კანონი განსაკუთრებით არ არის ხელსაყრელი ნაციონალურ უმცირესობისათვის.

ჩვენი გლეხობა.

(ერთი გამოსარკვევი საკითხის შესახებ)

ჩვენი გლეხობის შემადგენლობა არ არის [illegible] არის გამოკვლეული, ჩვენ არ ვიცით [illegible] რომ ცვლილებამ [illegible] გლეხობაში [illegible] არის [illegible] თუ უკვე მოხდა მისი სხვა და სხვა ეკონომიურ კატეგორიებათ დაყოფა ანუ დიფერენციაცია.

ეკონომიური და საზოგადოებრივი პირობების ზეგავლენით საქართველოს გლეხობაში აუცილებლად [illegible] დიფერენციაცია უკვე [illegible], მხოლოდ ხასიათი დიფერენციაციისა, მისი მიმდინარეობა დღემდე არ არის გამოკვლეული, დღეს კი ეს საკითხი უნდა იქნეს წამოყენებული. გლეხობის შემადგენლობის შესწავლას აქვს არა მარტო განყენებული მნიშვნელობა, მას აქვს სახელმძღვანელო მნიშვნელობა.

რა ვიცით საერთოდ საქართველოს გლეხობის შესახებ?

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს შორის დიდი განსხვავება არის. აღმოსავლეთი საქართველო არის უფრო მსხვილი მიწის მფლობელობის მხარე, დასავლეთი კი უფრო მცირესი.

აღმოსავლეთ საქართველოში კერძო მესაკუთრეებს, თავად-აზნაურობას ეკუთვნოდა რევოლუციის წინ—62,8 პროც. გლეხობას 47,2 პროც. მთელი ვარგისი მიწების. დასავლეთ საქართველოში კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნოდა 23,6 პროც., გლეხობას 76,4 პროც. მიწებისა. განსხვავება გლეხობის მიწისმფლობელობაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის დიდია.

[illegible] არის განსხვავება მიწის სარგებლობაში: აღმოსავლეთ საქართველოში კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნოდა [illegible] 24,4 პროც., დასავლეთ საქართველოში კერძო მესაკუთრეებს [illegible] 12,1 პროც. [illegible] აღმოსავლეთ საქართველოში [illegible] მეურნეობას საშუალოდ: გლეხებს 3,5 [illegible], კერძო მესაკუთრეებს 77 [illegible] დეს. დასავლეთ საქართველოში: გლეხურ მეურნეობას 2,3 დეს., კერძო მეურნეობას—33,6 დეს. საშუალოდ თითო სულ გლეხს ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში—0,8 დესიატინა, დასავლეთ საქართველოში—0,4 დესიატინა, [illegible] ნაკლები.

შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო რაოდენობა [illegible] მიწების—2,1 დესიატინა, დასავლეთ საქართველოში—1,2 დესიატინა, ეს იგი [illegible] ნაკლები უფრო [illegible] ცნობები საქართველოს მიწის მფლობელობის შესახებ იხ. ჩვენი წერილები, [illegible] „მიწის მუშა", № 30-33).

გლეხობის მიწის მფლობელობაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის დიდი განსხვავება არის. დასავლეთ საქართველოში უფრო არის მიწები დაწვრილმანებული ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.

ყველა ზემო აღნიშნული ცნობები არის საშუალო, გვიჩვენებენ საერთო მდგომარეობას. საშუალო ცნობები ფარავენ იმ განსხვავებას რომ [illegible] რომლებიც [illegible] და [illegible] ჩარჩენილია საქართველოს გლეხობაში.

ჩვენი ახალგაზრდა სტატისტიკურ სამართველოს ვალდებულება არის, შეისწავლოს და გამოიკვლიოს დაწვრილებით ყველა ის ჯგუფები, რომლებიც მოთავსებული არის გლეხობაში. სტატისტიკური სამმართველო უკვე შეუდგა ამ საქმეს. ამ ჟამად არის გამოკვლეული თელავის და სენაკის მაზრები, ორი მაზრების გამოკვლევა არ არის საკმაო, მაგრამ მასალები იმდენათ საყურადღებო არის, იმდენათ ახალ მდგომარეობას ახასიათებენ, რომ ჩვენ ვალდებული ვართ მოკლედ მაინც გავეცნოთ [illegible].

თელავის მაზრაში: ეზო, ბაღები და სხვა მიწები გარდა სახნავ-სათესი მიწებისა არის 6,674 დ., სენაკის—9,990 დ.; დასახლებულ მიწები სენაკის მაზრაში შეადგენენ მთელი მიწების 25,3 პროც., თელავის—19,1 პროც. [illegible] სახნავ-სათესი მიწები არის სენაკის მაზრაში—30,261 დესიატ. 64,7 პროც., თელავის—26,103 დეს. 74,7 პროც. [illegible] მთელი საქართველოსათვის ხორბლეულობის წარმოება არის ძირითადი დარგი სოფლის მეურნეობის.

თითო სამოსახლოს [illegible] სენაკის მაზრაში 1,9 დეს., თელავის—2,2 დეს.

გლეხობის მეურნეობა უნდა დავყოთ და გამოვიკვლიოთ მათი [illegible] შესაძლებლობა. [illegible] სამეურნეო [illegible] შესაძლებლობით, ამ ნიშნების მიხედვით გამოდის შემდეგი:

	სენაკის მაზრა			თელავის მაზრა		
	პროცენტობით			პროცენტობით		
	სამოსახლოთა რაოდენობა	მოსახლეობა	სულ ვარგისი მიწები	სამოსახლოთა რაოდენობა	მოსახლეობა	სულ ვარგისი მიწები
ულარიბესი	65.1	61.4	36.3	59.9	54.1	22.8
საშუალო	19.2	20.6	24.6	23.4	25.6	28.4
შეძლებული	15.1	17.5	39.1	15.2	19.8	48.8
სულ	99.4	99.5	100	98.5	99.0	100

